საქართველოს მთავრობის

დადგენილება №448

2025 წლის 13 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„სამინისტროს სისტემაში შემავალ სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №467 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამინისტროს სისტემაში შემავალ სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №467 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2024, 470230000.10.003.024862) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამინისტროს სისტემაში შემავალ სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი, კომპონენტების მიხედვით, განისაზღვროს **50 641.6 ათასი** ლარით:

პროგრამული კოდი	პროგრამის კომპონენტები:	ღირებულება (ათასი ლარი)
2704		
1	**სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქციონირებისათვის:**	**15,500.0**
	საპროექტო/სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები	4,500.0
	აღჭურვა	11,000.0
2	**სს – თ. ცერცვაძის სახელობის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ფუნქციონირების უწყვეტობის ხელშეწყობა**	**1,000.0**
3	**ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების:**	**13,841,6**
	საპროექტო/სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები	5,000.0
	მათ შორის, შპს – თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს საპროექტო/ სამშენებლო სამუშაოები	500,0
	აღჭურვა	8,841,6
4	**პროგრამის ადმინისტრირება**	**500.0**
5	**მიუსაფართა დროებითი თავშესაფრების, ფსიქიატრიული და ადიქტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების:**	**6,500.0**
	საპროექტო/სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები	6,000.0

	აღჭურვა	500.0
6	**სს – საჩხერის რაიონული საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანების ფუნქციონირებისათვის:**	**7,200.0**
	საპროექტო/სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები	1,200.0
	აღჭურვა	6,000.0
7	**შპს – აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის პროექტირება/მშენებლობა**	**6,100.0**
	სულ:	**50,641.6.**“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**